განკარგულება:**g-95. 95253604**

თარიღი:**26/12/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს - კახაბერი ბერიძეს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს დადებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის №02 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა - კახაბერი ბერიძემ (პ/ნ-61008007905) 2025 წლის 10 ივლისს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა წერილობითი განცხადება თანდართული საქმის მასალების ერთად, რომლის საფუძველზეც მოითხოვა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენ - კახაბერი ბერიძეს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს დადებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №02 ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების (პირობების) შესრულების (მათ შორის საინვესტიციო ვალდებულებების) დადასტურება და დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდისგან განთავისუფლება.

ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს - კახაბერი ბერიძეს (პ/ნ-61008007905) შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს დადებული იქნა პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულება №02, რომლის საფუძველზეც ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა ტ. აბუსერიძის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 662.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი, (ს/ კ21.03.34.461) ქონების შემძენს პირობების შესრულების ვალდებულებებით გადაეცა საკუთრებაში.

ხელშეკრულების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა იკისრა შემდეგი ვალდებულებების (პირობების) შესრულება, კერძოდ: მიწის ნაკვეთის შეძენიდან 12 თვის ვადაში მასზე განეხორციელებინა 10000 (ათიათასი) ლარის ინვესტიცია და მოეწყო ავტო-მომსახურების ობიექტი; ობიექტზე დაესაქმებინა არანაკლებ 4 ადგილობრივი მცხოვრები; ობიექტის ამოქმედება მოეხდინა მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 12 თვეში და ობიექტის პროფილი შეენარჩუნებინა არანაკლებ 2 წლის ვადით.

მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის - კახაბერი ბერიძის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (პირობები) მის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასტურდება, სრულად შეასრულა, მაგრამ ხელშეკრულებით

განსაზღვრული ვადების დარღვევით ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა შეადგინა 931 კალენდარულ დღე. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელმაც ჯამში შეადგინა 9310.0 (ცხრა ათას სამას ათი) ლარი.

აღნიშნული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე კახაბერი ბერიძე მოითხოვს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პერიოდში (2020-2022 წლებში) ქვეყანაში არსებული ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით დაწესებული იყო შეზღუდვები, რამაც შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა, აქედან გამომდინარე მან დროულად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ვერ უზრუნველყო საინვესტიციო ვალდებულების შესრულება. მაგრამ მიმდინარე პერიოდისათვის აღნიშნული ვალდებულებები მის მიერ სრულად არის შესრულებული. ხოლო შემდგომი საქმიანობის გაგრძელებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, მოითხოვს გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს თანახმად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საკრებულოს თანხმობით მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია გადაწყვიტოს ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი. აქედან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს - კახაბერი ბერიძეს (პ/ნ-61008007905) შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს დადებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №02 ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა (კახაბერი ბერიძე) მოახერხოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და არსებული საქმიანობის შემდგომი გაგრძელება.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1.ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს - კახაბერი ბერიძეს (პ/ნ-61008007905) შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს დადებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №02 ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (პირობების) დარღვევისათვის (საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა) დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (რომელიც შეადგენს საინვესტიციო ვალდებულებების 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე) - 9310.0 (ცხრა ათას სამას ათი) ლარის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს - მამუკა თურმანიძეს.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე).

3.განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი